მაისი
1935 წ.
№ 113—ა)

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
MAI
1935—№ 113

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

იოსეფ პილსუდსკი
(1867—1935)

პ ი ლ ს უ დ ს კ ი

აღარ არის პოლონეთის უდიდესი გმირი, მისი აღმდგენელი და ხელმძღვანელი იოსებ პილსუდსკი. მას დასტირის მთელი პოლონეთი განურჩევლათ პარტიისა. მას დიდებას ასხამს მთელი მსოფლიო პრესა. მას გლოვობს მთელი მოწინავე საზოგადოება. დიდი, გაუსწორებელი დაკარგვა, როგორც სამშობლოსათვის, დაჩაგრული ერებისათვის, აგრეთვე ევროპისათვის. იმ დროს როდესაც დასავლეთი მოიცვა პოლიტიკურ აფორიაქებამ, საერთო დაბნეულობამ და ავანტიურისტულ დაწყობილებამ, ერთათ ერთი პოლონეთი და მისი მეთაური პილსუდსკი იდგა დინჯათ, დამშვიდებით, ურყევათ, ერთხელ აღებულ პოზიციებზე მკვიდრათ დაყრდნობილი. ამ საყოველთაო დაბნეულობაში ერთათ ერთი ის არ დაბნეულა და საკუთარ, დამოუკიდებელ გზას ოდნავათაც არ გადაცდენია.

პილსუდსკი არ გავდა არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს, ის ღრმათ განირჩეოდა ყველა თანამედროვე მეთაურთაგან და სწორეთ ეს მისი განსაკუთრებითი თვისებანი ხდიდა მას იშვიათ, ყველასაგან სადიდებელ პიროვნებათ. ის იყო ერთ და იმავე დროს კაცი მოქმედების და კაცი აზროვნების, ლიდერი და ჯარის კაცი, მამაცი და ხელმძღვანელი, დიდი ჭკუის და დიდი მოქმედების. ჩვეულებრივათ ეს ორი თვისება ერთათ ვერ თავსდება, ერთი მეორეს ვერ ეგუება და ამიტომ ბინადრობენ სხვადასხვა პიროვნებაში. მამაცი ჩვეულებრივათ მოკლებულია ფართო აზროვნებას, ფართეთ მოაზრე—მამაცობას. გამონაკლისი მეტათ იშვიათია, მათი რიცხვი ხუთ თითზე თამამათ ჩამოითვლება და აი ამათ შორის პილსუდსკია. მისი ცხოვრება სავსეა დრამატიული მომენტებით, ეპიკური შემთხვევებით. სადაც უნდა ყოფილიყო, რა ასპარეზზედაც ემოქმედნა, ის ყოველგან და ყოველთვის პირველ რიგშია, საშიშარ პოზიციაზეა, მებრძოლთათვის მხნეობის მაგალითის და სახელმძღვანელო დედააზრის მიმცემია. ის მუდამ იყო და დარჩა ბოლომდე საქმის სული და ძალღონე, გადაწყვეტილების მიმღები და ამსრულებელი. ის თვითონ სწყვეტს, მაგრამ სხვას არ აგზავნის მის ასასრულებლად, ის თვითონ მიდის, თვითონ იბრძვის, თვითონ სწირავს თავის სიცოცხლეს. ის არის პატრონი შეუდრკელი, გამოკაჟებული ნებისყოფის. რწმენა უსაქმოთ მისთვის არ არსებობდა. თავის სულიერ აღმაფრენას ამტკიცებდა მისთვის თავის დადებით, თავის დადებით ამყოვნებდა თავის სულიერ აღმაფრენას.

პილსუდსკი გამოდის საზოგადო ასპარეზზე მთელი თავისი ენტუზიაზმით. პირველივე მკაცრი სინამდვილე, მისი ხუთი წლით გაციმბირება, მას არა თუ არ სტეხს, არამედ კიდევ უფრო ატოკებს და დაბრუნებისთანავე ხდება პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პ. პ. ს.) სულის ჩამდგმელი, მისი მეთაური, მისი ლიტერატორი. ყველა პარტიათა შორის, მხოლოდ ეს ითხოვდა პოლონეთის განთავისუფლებას, ყველა დანარჩენი კმაყოფილდებოდენ ავტონომიით. ახალგაზდა მეთაური თავისი ორგანიზაციების საშუალებით ებმება ერის პსიხოლოგიას, მისი ასი წლის ბრძოლას, მის გამანთავისუფლებელ მოძრაობას. ამ გზაზე პილსუდსკი არ ერიდება არავითარ დიდ გამოსვლას, არ უშვებს არც ერთ შემთხვევას გამოუყენებლათ თავისი წისქვილის ასაბრუნებლათ. კაცი ბომბის, ხმალის და კალმის—ეს ფანტასტიური შეზავება მოქმედების და აზროვნების იძლევა მთელ რიგს საგმირო საქმეებისას. იფეთქა დიდმა ომმა. პილსუდსკი თავისი მცირერიცხოვანი ლეგიონერებით ილაშქრებს რუსის მოწინავე პოზიციის წინააღმდეგ და იღებს მათ სიმაგრეს, განაგრძობს უთანასწორო ბრძოლას ცენტრალური ევროპის გვერდით; მაგრამ როცა ხედავს რომ მოკავშირენი სრულიად არ არიან თანახმა თავისი პოლონური ნაწილები შეუერთონ რუსეთის პოლონეთს ერთი მთლიანი პოლონეთის აღსადგენათ, ის ილაშქრებს მათ წინააღმდეგაც, იგემებს ციხეს, შემდეგ განთავისუფლებას და ვარშავაში ცხადდება გამარჯვებული, აღდგენილი სამშობლოს ბელადათ. ახდა მისი ძველი დებულება: უფრო შესაძლებელია მოპოვება პოლონეთის დამოუკიდებლობის, ვინემ მისი ავტონომიის. «ავტონომიებში» ჩაცვენილი ერები დღესაც განიცდიან მონობას.

ნაციონალური გმირი ხდება მხოლოდ უმაღლესათ მორალური პიროვნება, რომელსაც თავისი კერძო მე არ აქვს, პირად ინტერესებს მოკლებულია, არავითარ ჯილდოს არ ეძებს, მთლიანათ და სავსებით საზოგადო ინტერესით გაჟღენთილია და მას თავგანწირვით ემსახურება. მისი ჯილდოა სახალხო საქმის კეთება, სხვისთვის თავის დადება. ასეთი იყო პილსუდსკი. მე მინახავს ის ერთხელ, ახალგაზდობაში, 1894 წ. გასულს ყენევაში და ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მისგან მივიღე, რჩება ბოლომდე მის დამახასიათებელ თვისებათ. მე გამაკვირვა იმ წინააღმდეგობამ, რომელიც იყო მის შინაგან სულიერი სიმდიდრის და ამის გარეგან გამოხატულების შორის. მორცხვი, წყნარი, მდუმარე, უბრალო, უჩინარი და ამავე დროს ამ ჩარჩოში დამალული ანთებუ-

ლი მებრძოლი სული, სული მოუსვენარი და მაღლა, ცის სივრცეში აღმამფრინავი. აი ეს თვისება რჩება მასში უცვლელი ბოლომდე. ის არ ეძებს გამოსაჩენ ადგილს, საპატიო თანამდებობას, ყველასათვის სანატრელ და სადიდებელ პოსტს. მას არა ერთხელ შეაძლიეს პრეზიდენტობა, მთავრობის თავმჯდომარეობა; ის უარს ამბობს დასანახავ ადგილზე, ურჩევნია იყოს ჩრდილში მიმალული და იქიდან ემსახურებოდეს თავის ქვეყანას. სწორეთ ისე, როგორც მე მას ვხედავდი ამ ორმოცი წლის წინ ქენევის კაფეს პატარა კუნჭულში და იქიდან მორცხვათ მოყურადეს სხვების მუსაიფისათვის. ის რჩება ერთგული თავის თავის, თავის ბუნების, ბოლომდე. და რა მისი ბრალია თუ საქმის ცენტრი გადადის იქ, სადაც თვითონ იმყოფება, თუ ის თავის უჩინარი ადგილიდანაც ხელმძღვანელია. სულის ჩამდგმელია, მეთაურია. ეს არის შედეგი არა მისი პრეტენზიის, არა მისი თავმოყვარეობის, არამედ მისი ჭკუის, მისი უნარიანობის, მისი შეუდრეკელი სულის და მამაცური მოქმედების. სადაც ის იყო, რა პოსტიც კი ეჭირა, პარტიაში, ჯარში, ერში, ყველგან მუდამ შეფია, ბელადია; მის ირგვლივ თავს იყრიდა ყველა სასიცოცხლო ძალები.

პილსუდსკის ცხოვრება არის პოლონელი ერის შემოკლებული ისტორია. მასში პოვა განსახიერება ერის ყველა ღირსებამ, მისმა სულიერმა სიმდიდრემ და კეთილშობილებამ. მუდმივი, შეუჩერებელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, მუდმივი ერთგულება ნაციონალური იდეალისათვის მუდმივი შეურიგებლობა ბოროკილებთან და მათ დასამტვრევათ თავის დადება—მთელი ეს ატოკებული საზოგადოებრივი ზვირთები თავს იყრიან პილსუდსკიში და ქმნიან მისგან ცოცხალ ქანდაკებას, ისტორიის მწვერვალზე საქვეყნოთ აღმართულს. ის ნაციონალური გმირია არა მარტო საგმირო საქმეებით, არამედ აგრეთვე თავისი ხასიათით, თავისი სულიერი აგებულობით, თავისი მხნეობით, შორსმჭვრეტელობით და დიდი ბუნებით. ის იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის, მაგრამ სწამდა და აფასებდა სხვისი სამშობლოს თავისუფლებასაც. ის არ იდგა ნაციონალური ეგოიზმის საფუძველზე, არ იზიარებდა დღეს გაბატონებულ პოლიტიკას: მე ვიყო თავისუფალი, შენ მონობაში ბრძანდებოდეო. პირიქით, ის მისდევდა ბოლომდე თავისუფლების ყველა დიდ შედეგებთ: თავისუფლება ყველასთვის მსნელია, მონობა ყველასთვის დამღუპველია. ის წარმოადგენდა დაჩაგრულ ერთათვის დიდ მორალურ სიმაგრეს, ცოცხალ, გამამხნევებელ ლამპარს, რომლის სხივები უფინებოდენ ბედისაგან დაჩაგრულთ. ის იდგა იმ საზღვარზე, რომლის იქით მრავალი ხალხები იტანჯებიან და აძლევდა მათ მაგალითს ბრძოლისას, მამაცობისა და გამარჯვებისა...

პილსუდსკი—გმირი, ბელადი, ადამიანი, მუდამ დარჩება ისტორიის მწვერვალზე მანათობელ ვარსკვლავათ...

ნ. ჟორდანია.

მარშალი პილსუდსკი

გარდაიცვალა მარშალი პილსუდსკი, პოლონეთის უდიდესი პატრიოტი, მისთვის თავდადებული მებრძოლი, მისი მკვდრეთით აღდგომის გმირი, ახალ ძლევამოსილ სიხელმწიფოს ხუროთმოძღვარი, ბელადი, წინამძღოლი. მარშალის გარდაცვალებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქვეყნიერებაზე, არავინ ელოდა, თვით პოლონელ ერსაც სრულიად მოულოდნელათ დაატყდა თავს ეს უბედურება და გაგვია ის გლოვის ძაძებში.

მარშალი პილსუდსკი სიცოცხლეშივე იქცა საზღაპრო პიროვნებად, ბელვედერის განდეგილი უჩინარი იყო ხალხისთვის, ხოლო უმისოთ არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ კეთდებოდა შინ და გარეთ. სამხედრო მინისტრი და ჯარების მთავარი ინსპექტორი, სახელოვანი მარშალი ფაქტიურათ უფროსი იყო მართველობის ყველა სხვა დარგშიც, მთავრობის შემდგენი, ქვეყნის ხელისუფალი.

მარშალის როლი საერთაშორისო განწყობილებაში უდრიდა თვით პოლონეთის როლს, და ეს კი იზრდებოდა წლიდან წლამდე, მაშასადამე, იზრდებოდა მარშალის როლიც. დიდ სახელმწიფოთა მეფეთა და პრეზიდენტთა სამგლოვიარო დეპეშები, ისე როგორც დიდებული დაკრძალვა, ცხადათ მოწმობს ამას. პოლონეთი ამ ათი წლის გასწვრივ იქცა ნამდვილ დიდ სახელმწიფოდ, ევროპას მიემატა ერთი დიდი წევრი, ურომლისოთ შეუძლებელია მნიშვნელოვან საერთაშორისო კითხვების, პირველ რიგზე ომის და ზავის კითხვის, გადაჭრა.

დასავლეთის ლოკარნოს დადების დროს 1925 წ., მისი ავტორნი ჯერ კიდევ არ ფიქრობდენ პოლონეთისთვის ჯეროვანი ანგარიში გაეწიათ და არ მოისურვეს მისი საზღვრების ისე უზრუნველყოფა, როგორც რეიხის მხრით. ეს იგრძნო დიდმა პატრიოტმა თავის «ქოხში», სახელმწიფო საქმეებს მოშორებულმა, და ერთის დაკვრით აიღო ისევ ხელისუფლება, არ დაერიდა სისხლის ღვრასაც, რათა სახელმწიფო ეხსნა ხიფათისაგან. ეს იყო მაისს 1926 წ., აბა შეადარეთ მაშინდელი პოლონეთი დღევანდელს, მაისს 1235 წელს! პოლონეთი უარყოფს, სუვერენულათ უარყოფს აღმოსავლეთის ლოკარნოს! ეს არავის აკვირვებს, ურიგდებიან მის ვეტოს. როგორც ხედავთ, პოლონეთი თანასწორია თანასწორთა შორის, და ამ თანასწორობის გამომჭედს იგლოვენ დღეს. პიერ ლავალი, საფრანგეთის საგარეო მინისტრი, პირველათ ვარშავაში მიდის, შემდეგ მოსკოვში, ეხლა ისევ უბრუნდება ვარშავას, რათა გვირგვინით შეამკოს იმის ცხედარი, რომლის ცოცხლათ ნახვა ვერ შესძლო.

ასეთი ისტორიული ფაქტები ცხად ჰყოფს, ვინ დაკარგა პოლონეთმა. მარშალი დიქტატორი იყოვო, გაიძახიან ყოველ მხრიდან, ხოლო რჩეულნი თუ წარმოიდგენენ, რა ვეება ამოცანა გადასჭრა მან. გარშემორტყმული ორი იმპერიისგან, რომლის კლანჭები საცაა ისევ უნდა სწვდენოდა მას, პოლონეთი ქვევით ექანებოდა მოწინააღმდეგე ძალთა და პარტიათა ურთიერთ ქიშპობის და ბრძოლის მეოხებით.

ეს ქიშპობა და ბრძოლა მით უფრო საბედისწერო უნდა გამხდარიყო, რომ პოლონეთს, დაგლეჯილს სამ ნაწილად და განაწამებს, ორი საუკუნის მანძილზე, ჯერ კიდევ ვერ მოესწრო შედუღება, ყველა იარების მორჩენა. მუხთალმა მოსკოვიამ ჯერ ხომ კიდევ განთავისუფლების განთიადს სცადა მისი გათელვა, ვარშავის კარსაც მიადგა. ვიცით, როგორი პასუხი მიიღო თავდამსხმელმა: პილსუდსკიმ თავზარი დასცა მას და პოლონეთის პირველი მარშალი გახდა. ეს იყო ისტორიული გაფრთხილება პოლონელ ერისთვის, ამაშია იმის ახსნაც, თუ რატომ იქცა მარშალი დიქტატორად.

საჭირო იყო ძლიერი ჯარის შექმნა. ადვილია ამის თქმა, ხოლო რამდენათ ძნელი ასრულება! ახალი სახელმწიფო, სამი სრულიად განსხვავებულ ნაწილისგან შეკოწიწებული. რომლის ტერიტორია მთელი ოთხი წელიწადი ომის ასპარეზი იყო, აოხრებული, აწიოკებული,—რა ნივთიერი და სულიერი ძალა, რა ენერგია, რა გამჭრიახობა უნდა დახარჯულიყო ამ მიზნის მისაღწევათ! განა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ პილსუდსკი გაურბოდა ქვეყნის პრეზიდენტობას, მთავრობის თავმჯდომარეობასაც—თუმცა ერთხელ მაინც იძულებული გახდა ეკისრნა იგი—და მხოლოდ სამხედრო მინისტრობას სჯერდებოდა და თითქმის მთელი თავის დროს ჯარის შექმნას და მის ყოველმხრივ მოწყობას ანდომებდა? და შექმნა კიდეც პირველ-ხარისხოვანი ჯარი, შესაფერი ქვეყნის ინტერესების და ღირსების დასაცავათ.

ფრიად ძნელი და იმავე დროს ფაქიზი იყო პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა. ვერსალის ზავით უკმაყოფილო დასავლეთის მეზობელი მტრულ განწყობილებაში იყო მასთან; აღმოსავლეთის მეზობელი, ერთხელ კბილებ ჩამტვრეული, აშკარათ ვერ ამხელდა თავის ვერაგ ზრახვებს, მაგრამ მით უფრო დაუძინებლათ და განუწყვეტლივ უმზადებდა მას შიგნიდან აფეთქებას. მაგრამ რამდენათ უფრო გართულდა მდგომარეობა, როცა პოლონეთის მოკავშირე საფრანგეთი სწორეთ აღმოსავლეთის ამ ვერაგ მეზობლისკენ იწყებს ცქერას და უახლოვდება კიდეც! და აქ მარშალმა სთქვა თავისი მტკიცე სიტყვა: არასდროს სამხედრო კავშირი მოსკოვიასთან! მან შეკრა უკანასკნელთან თავდაუსხმელობის პაქტი, მაგრამ სამხედრო კავშირი, რომელიც გულისხმობდა რუსის ჯარის პოლონეთის ტერიტორიაზედ გავლას, მან გადაჭრით უარყო.

მარშალმა პილსუდსკიმ გერმანიასთანაც დასდო თავდაუსხმელობის პაქტი ათი წლით და ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოკავშირე საფრანგეთში. ბევრი იმასაც კი ფიქრობდა, რომ რუსეთ-საფრანგეთის ბლოკს უპირდაპირდებოდა გერმანია-პოლონეთის ბლოკი და სამხედრო კავშირი საფრანგეთსა და პოლონეთს შორის გაუქმებულად მიაჩნდათ.

მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა ამ მითქმა-მოთქმას ნიადაგი გამოაცალა. საფრანგეთმა, მართალია, ხელი მოაწერა მოსკოვიასთან ურთიერთ დახმარების პაქტს, მაგრამ რამდენათ დაშორებულს წინეთ განზრახულ სამხედრო კავშირისგან! ამის და მიხედვით, საფრანგეთი და პოლონეთი ისევ პოულობენ საერთო ენას, აღიარებენ ურთიერთ დამოკიდებულების ბაზად უკვე არსებულ სამხედრო კავშირს. ჩქარა იმასაც დავინახავთ, რომ პოლონეთი, შეიძლება, ხიდი გახდეს საფრანგეთსა და გერმანიას შუა გადებული!

ბელვედერის განდეგილის იდუმალი ზრახვაც სწორეთ ამაში მდგომარეობდა. დასავლეთ ევროპის დაზავება, სახელმწიფოთა შორის ნდობის და თანამშრომლობის აღდგენა შეუძლებელია, თუ გერმანია და საფრანგეთი ორ მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნიან. ესაა ნამდვილი რეალური პოლიტიკა და მარშალიც სწორეთ ამას ადგა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისთვის ცხადი იყო, რომ წითელი იმპერიალიზმი გაცილებით უფრო საშიშია პოლონეთისთვის, დასავლეთ ევროპისთვის, მთელი ცივილიზაციისთვის, ვინემ რომანოვების იმპერიალიზმი. განა უკანასკნელთან ბრძოლას არ შეალია პილსუდსკიმ თითქმის მთელი მისი ძალა, ჯანი, სიცოცხლე! სულით ძლიერი, რამდენათ სუსტი იყო ის ფიზიკურათ სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ! რა იყო 68 წელი ასეთი ძლიერი პიროვნებისთვის, მაგრამ რევოლუციურმა მოღვაწეობამ 40 წლის მანძილზე, ციხეებმა და ციმბირმა, კონსპირატიულ სარდაფებში ცხოვრებამ თავისი განუკურნებელი დაღი დაასვეს პოლონეთის სიამაყეს და შეუმოკლეს დღეები.

პილსუდსკის წარსული რევოლუციური ბრძოლა მჭიდროთ იყო დაკავშირებული სხვა ერთა რევოლუციურ ბრძოლასთან იმავე ცარიზმის წინააღმდეგ. ეს კავშირი გახდა შემდეგ ნამდვილი მიზეზი მარშალის ასეთი აღგზნებული სიმპატიებისა ახალ მებრძოლთა მიმართ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. პოლონეთი და ბალტიის რესპუბლიკები განთავისუფლდნენ, ეხლა ჯერი სხვა ერებზე მიდგა, ისინიც უნდა განთავისუფლდნენ, ესაა ისტორიული აუცილებლობა—მსჯელობდა მარშალი. საბჭოთა კავშირის, ამ ვეება და უსახო იმპერიის დანაწილება ეროვნულათ საღ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად—აი, რა მიაჩნდა მას ერთად ერთ გამოსავალ წერტილად არსებულ არანორმალურ მდგომარეობიდან.

ერთი მხარეც, შეიძლება, ყველაზე უმნიშვნელოვანესი. პილსუდსკი იყო სოციალისტი, რევოლუციონერი და პატრიოტი ერთსა და იმავე დროს, მაგრამ არასდროს არ უგრძვნია მას გასამება, მუდამ ერთი პიროვნება იყო, ვითა გრდემლი. როცა ცარიზმთან ბრძოლა საკუთარ სამშობლოს ამშენებლობამ შესცვალა, პილსუდსკი, მოწოდებული ამ მძიმე და საპასუხისმგებლო დანიშნულებისათვის, თავისივე გულში იკლავს ყველა თავის პარტიულ-პოლიტიკურ მიდრეკილებას და მიაქვს ისინი სამშობლოს სამსხვერპლოზე.

სრულიად არაჩვეულებრივი იყო მარშალის მეგობრული განწყობილება ქართველ ერთან, მან ეს დაამტკიცა საქმით, რომელიც თავის თავათ ღაღადებს. ჩვენ მთელის ჩვენის გულით და სულით ვუერთდებით რაინდ პოლონელ ერის გლოვას თავის უდიდეს შვილის უდროოთ დაკარგვის გამო.

იოს. პილსუდსკის გარდაცვალების ირგვლივ

ბ. ნოე ჟორდანიამ პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარეს გაუგზავნა სამძიმრის შემდეგი დეპეშა:

«ღრმად დამამწუხრა მოულოდნელმა დაკარგვამ პოლონეთის უდიდესი პიროვნების, ახალი პოლონეთის შემქმნელის და ჩემი სამშობლოს დიდი მეგობრის იოსებ პილსუდსკის. უცხადებ ჩემს მხურვალე თანაგრძნობას პოლონეთის ერს მის დიდ გლოვაში».

———

კავკასიის ემიგრაციის სახელით ქ-ნ პილსუდსკისას გაეგზავნა შემდეგი დეპეშა:

«კავკასიის ემიგრაციის სახელით გიცხადებთ ჩვენს ღრმა თანაგრძნობას იმ მძიმე მწუხარებაში, რომელიც თქვენ და თქვენთან ერთად პოლონეთის კეთილშობილ ერს თავს დაგატყდათ ახალი პოლონეთის შემქნელის და დაჩაგრულ ერთა დიდი მეგობრის მარშალ პილსუდსკის უდროოდ დაკარგვით.

ჟორდანია, რესულ ზადე, შახმანოვი».

———

18 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ეროვნულმა ცენტრმა გამართა სამგლოვიარო სხდომა მარშალ პილსუდსკის ხსოვნის აღსანიშნავად. ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ და პარტიათა სახელით გ. გვაზავამ.

———

ი. პილსუდსკის ხსოვნის აღსანიშნავათ საჯარო სხდომა გამართა აგრეთვე კავკასიის, უკრაინის და თურქესტანის ერების მეგობრობის კომიტეტმა; სხდომას დაესწრენ აგრეთვე პოლონელებიც. ილაპარაკეს: უკრაინის სახელით პრ. შულგინმა, ქართველების—ა. ჩხენკელმა, ადერბეიჯანის—მ. იაკუბ ბეიმ, მთიელების—ჩულიკმა, თურქესტანის—მ. ჩოკაევმა.

———

გ. გვაზავას სიტყვა

პილსუდსკი გარდაიცვალა!

ჯერ არ დამდგარა დრო იმისთვის, რომ სამართლიანად დაფასდეს სამსახური ამ დიადი პიროვნებისა პოლონეთის წინაშე, არც იმისთვის, რომ დაენიშნოს მას მისი შესაფერი ადგილი კაცობრიობის ისტორიაში.

დიაღ, მე ვამბობ, კაცობრიობის ისტორიაში, ვინაიდან მნიშვნელობა და შედეგები პილსუდსკის ბრძოლის და მოღვაწეობის ძალიან შორსა სცემს, იგი გადადის პოლონეთის საზღვრებს და უკავშირდება კაცობრიობის ევოლიუციის უმაღლეს ინტერესებს.

პილსუდსკი სიყრმიდანვე ჩაება იმ სახელოვან მუშაობაში, რომლის გზა მიდის საშინელ უფსკრულის ნაპირ ნაპირ; გზა სახიფათოა, ეკლიანი და მოლიპული; ყოველ წამს შეიძლება დაგატყდეს ავდარი, დაგიბეროს ქარიშხალმა, ან გაგიცდეს ფეხი და გადავარდე ამ უფსკრულში, სადაც უკვე დამარხულია არა ერთი და ორი პოლონელი, არა ერთი და ორი მებრძოლი სხვა დამონებული ერებისა. მაგრამ პილსუდსკი დინჯად მიდიოდა ამ გზაზე და თვალი მუდამ მიჭედილი ჰქონდა ერთ ვარსკვლავზე, რომლის შუქი და ელვარება იყო დაუშრეტელი წყარო მისი მხნეობის, მისი თავგამოდების და იმ შეურყეველი ნებისყოფის, რომელმაც დაბოლოს წამოანთო მთელს პოლონეთში ეროვნული ენტუზიაზმი და უცვლელი შარავანდედით შეჰმოსა მისი სახე კაცობრიობის ისტორიაში. ეს ვარსკვლავი იყო პოლონეთის ბედი.

პოლონეთი! თქვენ იცით ამ ქვეყნის ისტორია, თქვენ იცით, თუ რა საშინელი ბრძოლა გამოიარა მან საუკუნეთა გასწვრივ და როგორ, რა ტრაღიკულ პირობებში, უწყალოდ დაფლეთილ და დახეულ იქმნა მისი ეროვნული სხეული. საჭირო იყო მოვლენა დიადი პიროვნების, რომ ამ დაფლეთილ ნაწილებიდან შეექმნა ისევ ერთი სხეული, შთაებერა მისთვის უკვდავი სული და აღემართა იგი, როგორც შეურყეველი კუნძული კაცობრიობის ოკეანეში. ეს სასწაული მოახდინა პილსუდსკიმ. პოლონეთი აღსდგა. ეროვნულ ენტუზიაზმა შეჰქმნა ის ურყევი სიმაგრე, რომელიც გახდა ბურჯი არა მარტო პოლონეთის, არამედ მთელი ევროპის მშვიდობიანი განვითარებისა.

ევროპა! ჩვენ ყველანი დიდი მოთაყვანენი ვართ ევროპის ცივილიზაციისა, ვინაიდან საფუძველი ამ ცივილიზაციისა გახლავს თავისუფლება, თავისუფლება პიროვნული და თავისუფლება ეროვნული. სწორედ ამ საფუძველზე გაიშალა ყოველნაირი შემოქმედება მეცნიერებაში და ხელოვნებაში, სწორედ ამან შეჰქმნა ის ინტელექტუალური და ეკონომიური უმაღლესობა, რომელიც უჭირავს ევროპას ქვეყნიერებაში. ევროპა ხშირად იდგა დიდ განსაცდელის წინაშე, მის ცივილიზაციას ხშირად ემუქრებოდენ ბარბაროსული ძალები, მაგრამ ამ განსაცდელისაგან ის მაინც გამოვიდა გამარჯვებული.

აღვნიშნოთ მხოლოდ სამი უმთავრესი მომენტი ამ დიადი ბრძოლისა. ეს პატარა მოგონება გაგვიადვილებს ჩვენ უფრო სწორედ დავაფასოთ პილსუდსკის როლი და მნიშვნელობა.

პირველი არის არაბების შემოსევა ისპანიაში. ამ ტალღამ გადალახა მთელი ისპანია, შემოიჭრა საფრანგეთში და შეიძლება ითქვას, რომ მთელი ევროპის ბედი ბეწვზე ეკიდა. მაგრამ მოხდა დიადი შეტაკება პუატიეში: საფრანგეთის ჯარმა, შარლ-მარტელის წინამძღოლობით, საშინლად დაამარცხა შემოსეული ლაშქარი და აბრუნებინა იმას უკან პირი. ამ დღიდან იწყება უკუ-ხევა შემოჭრილი ძალებისა. გავიდა კარგი ხანი და პროცესი დასრულდა დასავლეთ ევროპის სრული განთავისუფლებით.

გავიდა ამის შემდეგ ათიოდე საუკუნე და ევროპა აღმოჩნდა ახალი ხიფათის წინ: ბალკანეთით შემოიჭრა თურქების ლაშქარი. ამ საშინელ ტალღამ წალეკა მთელი ბალკანეთი და მიაღწია ევროპის შუა-გულს. მაგრამ აქაც აღმოჩნდა მხსნელი: პოლონეთის მეფემ, იან-სობესკიმ, ვენის კარების წინ, გადაუჭრა იმას გზა, დაამარცხა იგი და ამ საშინელმა, აზიიდან შემოჭრილმა ტალღამ, დაიწყო უკუ-დენა. ეს პროცესიც გათავდა, როგორც იცით, ბალკანეთის სრული განთავისუფლებით.

მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი იყო მესამე ტალღა ველური ძალებისა. ეს ტალღა წამოსქდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთიდან. მაგრამ კარგად გახსოვთ, რომ ლენინი ემუქრებოდა არა პოლონეთს, რომელსაც იგი ალბად ჯერ კიდევ თვლიდა რუსეთის პროვინციად, არამედ მთელს ევროპას. თქვენ იცით, რომ ლენინმა თვითონ მოსპო მთელ რუსეთში ყოველი თავისუფლება, განსაკუთრებით კი ყველაზე უძვირფასესი—თავისუფლება შრომისა. ამით იგი მედგრად დაუპირდაპირდა ევროპის ცივილიზაციას. ეჭვი არ არის, მისი გამარჯვება იქნებოდა სამუდამოდ ჩაშრეტა ამ ცივილიზაციისა.

ამ საშინელ ურდოებს გზა გადაუჭრა პოლონეთის ერმა და მის გენიალურმა ხელმძღვანელმა პილსუდსკიმ. მოსკოვიდან წამოხეთქილი ტალღა ეხეთქა ამ შეურყეველ სიმაგრეს, ვერ გადალახა იგი და იბრუნა უკან პირი. ევროპა გადარჩა განადგურებას.

ეჭვი არ არის ამ ტალღის უკუ-დენას მოყვება ის, რაც მოყვა არაბების შემოსევას ისპანიაში და თურქებისას—ბალკანეთში. მხოლოდ ეს პროცესი უკუ-ხევისა იქნება შეუდარებლად უფრო სწრაფი. ურმით მოძრაობა შესცვალა ავიაციამ და ის, რაც წინედ ხდებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში, ეხლა შეიძლება მოხდეს რამდენიმე დღეში ან რამდენიმე თვეში. თქვენ ხედავთ, უკვე მოსჩანს საზღვრები თავისუფალი უკრაინის და თავისუფალი კავკასიისა.

აი სად არის დაუფასებელი სამსახური პილსუდსკის კაცობრიობის წინაშე. მან გადაარჩინა ევროპის ცივილიზაცია საშინელ განსაცდელს და შეამტვრია კარები იმ ერთა საპყრობილეში, რომელსაც ჰქვიან რუსეთი. აი რატომ დასტირის ერთნაირად პილსუდსკის გადაცვალებას აღმოსავლეთი და დასავლეთი.

ბაირონი ამბობს ერთ თავის ლექსში რუსეთის შესახებ: «ქვეყანა შეკრულია თოვლით და ყინვითო, არის მხოლოდ ერთი ნაპერწკალი, სადაც შეიძლება კაცმა სული გაითბოსო—ეს არის სახელი კოსციუშკოსიო!»—ეხლა ნაპერწკალი კი არა, წამოინთო დიადი ალი, რომელიც სულს უთბობს ყველა დაჩაგრულ ერებს და გზას უნათებს კაცობრიობას—ეს გახლავს სახელი პილსუდსკისა.

მოვიდრიკოთ მუხლი ამ ახლად გახსნილ სამარის წინ და გავიზიაროთ სულით და გულით ეს სამგლოვიარო წამი პოლონეთის ისტორიისა.

აკ. ჩხენკელის სიტყვა

ერთი კვირაც არ გასულა, რაც პოლონეთის დიდი პატრიოტი მარშალი პილსუდსკი გარდაიცვალა, და ევროპამ თითქო ეხლა იგრძნო, ეხლა ჩაუკვირდა და დააფასა, რა დიდ პიროვნებას წარმოადგენდა მიცვალებული. პილსუდსკიმ თავის პიროვნებაში განასახიერა მშობელ პოლონელ ერის სახელოვანი გმირობა, გენიოსობა და გამოსჭედა მისგან ძლევამოსილი დიდი სახელმწიფო, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ სხვა დიდმა სახელმწიფოებმა. ჩვენ გვახსოვს, ერთი ქვეყნის საგარეო მინისტრი ეწვია, ერთი წლის წინ, ვარშავას და ულოცავდა მარშალს, რომ პოლონეთი უკვე შევიდა დიდ სახელმწიფოთა ოჯახშიო, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე მინისტრმა მეორე სახელმწიფო, მოსკოვია, შეიყვანა ამ ოჯახში. ამის პასუხად, როცა იმავე ქვეყნის მეორე საგარეო მინისტრმა დაუყენა პოლონეთს აღმოსავლეთის ლოკარნოს კითხვა, მარშალმა მას გადაჭრილი უარი მიახალა. მაშინ ეს უარი ვერავინ გაიგო, ხოლო ეხლა კი, მარშალის ცხედრის დიად დაკრძალვის დროს, მთელმა ევროპამ იგრძნო, რომ მის წინ აღიმართა პოლონეთის დიდი სახელმწიფო, რომელსაც დიდი და განსაკუთრებული მისსია უკისრნია.

რაში მდგომარეობს ეს მისსია? იქცეს დარაჯად, გარდაუვალ ციხე-სიმაგრედ აღმოსავლეთის საზღვრებზედ, რათა ესენი ვერ გადალახოს მოსკოვიტების საშინელმა ბარბაროსობამ და მით არ დაამხოს დასავლეთი ევროპა, მთელი მისი ცივილიზაცია. ერთხელ კიდეც იხსნა, 1920 წ., ჯერ კიდევ ნორჩმა პოლონეთმა, მისმა შეუდარებელმა ბელადმა დასავლეთი ამ ხიფათისაგან. და აი სწორეთ ამ პოლონეთს და მის აღმაშენებელ პილსუდსკის ეუბნებიან შეეკარი სამხედრო კავშირით მოსკოვიასო, რაიცა გულის ხმობდა რუსის ჯარის პოლონეთის მიწა-წყალზე გავლას! განა იმისთვის ებრძოდა ასე გამწარებით ათეული წლები დიდი რევოლიუციონერი პილსუდსკი რომანოვების იმპერიალიზმს, რომ ეხლა კარი გაღო გაცილებით უფრო პირწავარდნილ წითელ იმპერიალიზმისათვის?

თქვენ კარგათ იცით, რომ პილსუდსკი იყო ძველი იმპერიის ყველა ერთა რევოლუციონერთა თანამებრძოლი ცარიზმის წინააღდეგ, ყველაზე შეურიგებელი და მამაცი. მას არ ჰქონდა წარმოდგენილი პოლონეთის განთავისუფლება, თუ ცარიზმი არ იქნებოდა წინასწარ მიწაზედ დანარცხებული. ეს ასედაც მოხდა: იფეთქა რევოლუციამ და პოლონეთიც აღსდგა და მას სათავეში მოექცა ძველი რევოლუციონერი, აწ უკვე სახელოვანი მხედართ-მთავარი და სახელმწიფო მოღვაწე პილსუდსკი. მე ვიყავი მოწმე ერთი მშვენიერი სურათისა, მარტში 1917 წ. თავრიდის სასახლეში სხდომა ჰქონდა საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტს, მას მოახსენეს, პოლონელთა დეპუტაციას სურს შემოვიდესო, შემოვიდენ: მოსკოვის ცნობილი ვექილი ლედნიცკი, ერთი ეპისკოპოსი და ორიოდე სხვა საპატიო პირი. ლედნიცკის მისალმების სიტყვაში და საბჭოთა თავმჯდომარის ჩხეიძის პასუხში გამოთქმული იყო ის აზრი, რომ გამარჯვებული რევოლუცია განთავისუფლებას მოუტანდა ყველა ერთ. ლედნიცკი მადლობას მიუძღვნიდა რევოლუციის მეთაურთ პოლონეთის ცნობისთვის, და, მართლაც, საბჭომ აიძულა დროებითი მთავრობა მოეხდინა ეს აქტი,—და გაათავა ასე: მე ვესალმები თქვენს პიროვნებაში—ეუბნება ჩხეიძეს—რაინდ ქართველ ერს და მხურვალეთ ვუსურვებ მას მისი საწადელის მიღწევას.

განა გასაკვირია, რომ რევოლუციურ ბრძოლებში ასე დაკავშირებული სხვა ერთა შვილებთან, მარშალი პილსუდსკი ღრმა თანაგრძნობით ეპყრობოდა იმ ერებს, ვინც დარჩა მოსკოვის უღლის ქვეშ? მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწამდა ჩვენი საქმე, დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ერებისთვისაც დაჰკრავდა განთავისუფლების ჟამი, ამას არ მალავდა, საჯაროთ აცხადებდა, და მისი ხმა სწვდებოდა შორს, შორს საბჭოთა სამფლობელოს ყოველ კუთხეში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერნი, დღეს რომ ბორკილებში არ იყვენ, აშკარათ და ღრმა მწუხარებით იგლოვდენ პოლონეთის დიდი პატრიოტის უდროოთ გარდაცვლას. ისინი განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლებისათვის, და კიდეც რომ ვერ მიაღწიონ ამ მოკლე დროში თავის მიზანს, მაინც შეასრულებენ თავის მოვალეობას მეგობარ ერის მიმართ.

ქართველი ერის, ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციის სახელით მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას ულრმესი თანაგრძნობა გამოვუცხადო ძლევამოსილ პოლონელ ერს მისი სახელოვან შვილის და ჩვენი დიდი მეგობრის დაკარგვის გამო.

მარშალ პილსუდსკის ცხოვრება

12 მაისს 8 საათზე და 45 წუთზე საუკუნე განსვენებას მიეცა მარშალი იოსებ პილსუდსკი—უდიდესი პიროვნება, რომელიც პოლონეთის საუკუნეთა ისტორიას მოუცია, რომელმაც სამად დაყოფილ მრავალ ტანჯულ პოლონეთს, საუკუნის მანძილზე სამ უზარმაზარ იმპერიათა საჯეჯგნად გამხდარს სული შთაბერა, დაქსაქსული ნაწილები გააერთიანა, დამოუკიდებლობა მოუპოვა, უძლიერეს სახელმწიფოთა სწორი გახადა და მათი თანასწორი მათ გვერდით დასვა.

იოსებ კლემანი პილსუდსკი 1867 წ. 5 დეკემბერს დაიბადა, ვილნოდან არა შორს მდებარე პაწია სოფელ ზულოვში. მარშალი პილსუდსკი შთამომავლობით იმ გვარეულობას ეკუთვნოდა, რომლისთვის რუსეთის წინაამდეგ ბრძოლა იყო ტრადიციული. მარშლის მამა 1863 წლის პოლონეთის რევოლუციის მხურვალე მონაწილეა და ამ წელს რევოლუციის სახელმძღვანელოთ შემდგარ საიდუმლო ეროვნულ მთავრობის რწმუნებული. პილსუდსკი ამ დამარცხებულ რევოლუციის ნამდვილი მემკვიდრეა და ასეთად თავის თავს სთვლიდა. შესაძლოა სამართლიანადაა თქმული: დიდ პიროვნებათა დედები ხშირად დიდი ბუნებისანი არიან. ამ თქმულებას მარშალი პილსუდსკის დედა მთლიანად ამართლებს. პირდაპირობა, სიმტკიცე, მაღალი გონიერება მარია პილსუდსკის—მარშლის დედის ბუნებაშია ჩაქსოვილი. მდგომარეობის ვითარების ერთბაშად გაგება, გადაწყვეტილებათა დაუყონებლივი მიღება—მას ახასიათებს. მარია პილსუდსკი პოლონეთის განსახიერებაა, განსახიერება ყოველივე იმის, რაც ებრძოდა რუსეთის ასიმილაციას. ხიფათთა, შემთხვევათა თუ უბედურებათა შუა გულში მოქცეული, არასდროს არ ჰკარგავს გონიერების თავისუფლებას, მოქმედებაში იჩენს განუზომელ სიმაგრეს, არასდროს ეძლევა სასოწარკვეთილებას. პილსუდსკიმ კონსპირატორობა დედის ძუძუსთან ერთად იგემა. პოლონელი ბუნებით კონსპირატორია. დაიწერა: მარშალი პილსუდსკი უდიდესი კონსპირატორიაო, რომელიც ისტორიას ახსოვსო. სიმართლეა.

პაწია ზიუკის—ასე ეძახდენ მომავალ მარშალს შინაურობაში—ხასიათის ფორმაცია, მისი სულიერი გაკაქება, დედამ მოვალეობად გაიხადა. ეს გაკაქებული სული მამულის მომავალ ჯარის კაცად უნდა იქცეს—აი დედის ოცნება. 11 შვილი, ქალი და ვაჟი ყველა ამ გზით იზრდება. ზრიუკი ოჯახში უმცროსია, ხოლო ბუნებით უფრო დაჯილდოვებული. უმცროსი ოჯახში რჩეულია, უმცროსი ოჯახში უფროსია. პაწია ზიუკი წაჩხუბებულ და-ძმებს არიგებს, თამაშობის დროს მათ ხელმძღვანელობს. შვილებს დედა ასწავლის, იგივე მათ ანვითარებს—წარსულ პოლონეთის დიდების სიყვარულ-პატივცემაში. პირველი წიგნები, რომელთაც მომავალი მარშალი ეწაფება—რომანტიული ეპოქის პოლონეთის მგოსნებია. 1875 წელს პილსუდსკის მშობლები ვილნოში სახლდებიან. ზიუკი რუსის გიმნაზიაშია. მის გულში ღვივის გამარუსებელ მასწავლებელთა მიმართ სიძულვილი. გიმნაზია ახალგაზდათა აღზრდის პედაგოგიურ მხარეს ზერელეთ ეხება. ხოლო საუკეთესო პოლიტიკური იარაღია რუსიფიკაციისა. სპეციალური სახელმძღვანელოები მთლად ამახინჯებენ პოლონეთის ისტორიის დიად ფურცლებს, სამაგიეროთ პოლიციური მეთოდით აღზრდის სისტემა იფურჩქნება. პოლონურად ხმის ამოღება ისჯება, პოლონეთის ერის და ეროვნულ გმირთა ხსოვნა იძაგება. ზიუკი მამულიშვილობას გულახდილად, მოურიდებლად აღიარებს, რუსიფიკატორთა წინაამდეგ პროტესტს აცხადებს. გრძნობს უძლურებას, წიგნებში ეფლება. იტაცებს ანტიურ გმირთა ლეგენდები, სიდიადე ათინის და რომის. პლუტარქი მისი რჩეული წიგნია. პილსუდსკის ასულდგმულებს რევოლუცია: «აღფრთოვანებული ვარ იმ მონაწილეობით, რომელიც მიუღია ფართე მასსებს რევოლუციაში, აღფრთოვანებული ვარ რევოლუციონერთა გმირობით», სწერს პილსუდსკი და თავის თავს ეკითხება: ნუ თუ პოლონელებს არ შეუძლიათ გამოიჩინონ ასეთივე ენერგია? ახალგაზდა რომანტიკ პილსუდსკში იღვიძებს ნაციონალური სიამაყე. მისი რჩეული გმირი ამ ხანად ნაპოლეონია. 1884 წელს ახალგაზდა პილსუდსკი აარსებს პატრიოტულ წრეს «სპოინია»ს სახელწოდებით. ამ კონსპირატიულ წრეში სწავლობენ პოლონეთის ლიტერატურის ისტორიას, ისტორიას პოლონეთისას, აშუქებენ სოციალურ პრობლემებს, აქ იმართება დისკუსიები მარქსის მოძღვრებაზე, პილსუდსკის წრე გმირულ აღტყინებას ყავს შეპყრობილი. გაცხარებით ემზადებიან მომავალ ბრძოლებისთვის.

1885 წელს პილსუდსკი სამედიცინო ფაკულტეტზეა, ხოლო არა დიდი ხნით. ასწრებს მაინც რუს რევოლუციონერ ელემენტებთან დაახლოვებას. მათ მოქმედებაში პილსუდსკი ჰხედავს იმ ძალას, რომელმაც უნდა შეანძრიოს ცარიზმი და რუსეთის სიძლიერე. ერთ წელსაც არ გაუვლია და უნივერსიტეტიდან გამორიცხულია პოლონელ ახალგაზდათა ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის. ბრუნდება ვი-

ლნოში. აარსებს საიდუმლო პოლიტიკურ წრეს. ეს წრე ცენტრია ვილნოს პოლიტიკურ ცხოვრებისა. პილსუდსკი აწყობს შეთქმულებას, თავის ძმა ბრონისლავთან ერთად, ალექსანდრე მესამეზე. ორთავეს ატუსაღებენ. ბრონისლავს სახალინში აგზავნიან 5 წლით. იოსები 5 წლით აღმოსავლეთ ციმბირშია გადასახლებული. ციმბირში ის უახლოვდება შვარცს, 1863 წლის ერთ მეთაურთაგანს. ციმბირის მისჯამ, ციმბირის ერთი ადგილიდან მეორეში გადასახლებამ კიდევ უფრო გააძლიერა სიძულვილი რუსეთისადმი, მისი მოქმედებაც გაორკეცებულია. სასჯელის მოხდის შემდეგ სავსებით ეფლება პოლონეთის სოციალისტურ მოძრაობაში. 1893 წლის პოლონეთის სოციალისტური პარტიის მეორე კონგრესი თავის ლიდერად ირჩევს. კონგრესი ავალებს პარტიულ ორგანოს «რობოტნიკი»-ს («მუშა») დაარსებას და მის ხელმძღვანელობას.

ტეროორისტულ აქტთა და აჯანყებათა სულის ჩამდგმელი პილსუდსკი ქალაქიდან ქალაქში დადის. ყოველგან დახელოვნებულ პოლიციას ხელიდან უსხლტება. 1900 წელს პილსუდსკი ტუსაღია, ვარშავის ციტადელში, განთქმულ მეათე პავილიონში მომწყვდეული. ამ პავილიონშივე იტანჯებოდენ 1863 წლ. რევოლუციონერებიც. პილსუდსკის მეგობრებს მისი განთავისუფლება უნდათ. განთავისუფლების გასაადვილებლად სიგიჟე უნდა მოიგონოს. პილსუდსკი გადაჰყავთ სანქტპეტერბურგის სამხედრო გოსპიტალში. 1901 წ. 13 მაისს ის ახერხებს გოსპიტალიტალიდან გაქცევას. მოკლე ხნით ინგლისშია, შემდეგ კოვნოში. მის ირგვლივ მებრძოლთა რიგები იკრიბება. რევოლუციური მოქმედებაც ცხოველდება. 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს პილსუდსკი ტოკიოშია. იაპონია უნდა გადახაროს პოლონეთის რევოლუციის სასარგებლოთ. მიზანს ვერ აღწევს, მაგრამ ეს მის გამბედაობას არ ანელებს. საბოტაჟი, ორთქლმავლებზე თავდასხმა, ტეროორისტული აქტები, თანამემამულეთა ციხიდან განთავისუფლება—აი რითაა სავსე ათი წელი (1904-14) ამ გასაოცარი ადამიანის ცხოვრებისა. 1912 წელს პილსუდსკი პარიზშია, ის მოუწოდებს ემიგრანტთა შვილებს პოლონეთის განსათავისუფლებლად.

რუსეთისთვის საგარეო და საშინაო საფრთხის შესაქმნელად, მისი ბატონობის დასაძლევად პილსუდსკი ჰქმნის სამხედრო ჯგუფებს «სტრელცებად» წოდებულს. ეს ჯგუფები ჩანასახია პოლონეთის მომავალი არმიისა.

1914 წ. მარტში პილსუდსკი ომს წინასწარმეტყველობს, წინასწარმეტყველობს მის შედეგსაც. აი მისი სიტყვებიც: «ომი მოახლოვებულია, მაგრამ დამოუკიდებლობას მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთს გაანადგურებენ გერმანელები და ავსტრიელები, ამ უკანასკნელებს კი ფრანგები. ომის მიწურულში გამარჯვებულნი და დამარცხებულნი დასუსტებულნი იქნებიან. ეს იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი დრო. ვიყოთ მაშასადამე მზად ომის დამთავრების ხანაში. ამაში იქნება ჩვენი ხსნა».

რამდენიმე თვე გაივლის, დიდი ომი იწყება. 5 აგვისტოს იოსებ პილსუდსკი იწყებს ომში მონაწილეობის მიღებას რუსეთის წინააღმდეგ, თავისი ნაწილებით კიელცისკენ მიემართება. რუსის ჯარს ამარცხებს. დამოუკიდებლობის დღეების მოლოდინში პოლონეთი აღფრთოვანებულია. პილსუდსკის მიზანია პოლონეთის მთლიანი განთავისუფლება, განთავისუფლება ცენტრალურ იმპერიათა მონობისაგანაც. გუშინ პილსუდსკი რუსეთის წინააღმდეგ მიიმართებოდა, დღეს მის სამხედრო ნაწილებს ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ იარაღი აქვს მიმართული. 20 ივლისს 1917 წ. გერმანელები მას ატუსაღებენ და მაგდებურგის ციხეში აგზავნიან. გერმანიის რევოლუცია პილსუდსკის ანთავისუფლებს. 4 ნოემბერს 1918 წელს პილსუდსკი ვარშავაშია და იარაღს აყრის ოკუპანტების ჯარებს. იშლება ახალი ფურცლები ამ დიდი პიროვნების ცხოვრებაში. 1918 წელს 4 ნოემბერს ის აღიარებულია პოლონეთის ჯარების «კომენდანტად». ამ დღიდან მას მთელი პოლონეთი დღემდისაც კომენდატს უწოდებს. 1918 წ. 11 ნოემბერს სარეგენტო საბჭო პილსუდსკის აღიარებს უმაღლეს ავტორიტეტად და აბარებს პოლონეთის ჯართა ხელმძღვანელობას.

1919 წ. თებერვალში დამოუკიდებელი და გაერთიანებული პოლონეთის პირველი პარლამენტი პილსუდსკის გადასცემს პოლონეთის შეფის ფუნქციებს და აჯილდოვებს პოლონეთის პირველი მარშლის წოდებით.

მაგრამ ახლად აწყობილ სახელმწიფოს მტერი უთვალთვალებს. მას ვერ მოუნელებია პოლონეთის მკვდრეთით აღდგენა. ეს მტერი მოსკოვია, ძველი გულით, ახალი ქერქით, ერთა დამოუკიდებლობის მღაღადებელი, ხიშტით ერების დამპყრობი. დენიკინ-კოლჩაკთან ომის დროს, პოლონეთ-მოსკოვს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდება. რაკი დენიკინ-კოლჩაკი დამარცხდენ, მოსკოვი პოლონეთს მიუბრუნდა. მოსკოვის ჯარები პოლონეთის დედა ქალაქის, ვარშავის კარებს მიადგა. 14 აგვისტოს 1920 წ. მარშალ პილსუდსკის კონტრ-შეტევაზე გადასვლამ, მის მიერ გამომუშავებულ გენიალურ სტრატეგიულ პლანმა პოლონეთს გამარჯვება მოუპოვა. ჩრდილოეთის ურდოები პოლონეთის საზღვრებიდან განიდევნა. 1921 წელს 18 მარტს რიგაში პოლონეთისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულება მოსკოვთან დაიდო...

ლომებიც იღლებიან. დაღლილი მარშალი ძალაუფლებას თავს ანებებს, საყვარელ ჯარსაც შორდება, თავის პატარა მამულში სულეიკაში სახლდება.

მის მოადგილე გაბრიელ ნარუტოვიჩს პოლონეთის პრეზიდენტს ჰკლავენ. პარლამენტში პარტიათა ბრძოლა სახელმწიფო ორგანიზმს შლის. დასასვენებლად აქტიურ ცხოვრებას ჩამოშორებული მარშალი, მოსვენებას ვერ ეძლევა. ახდენს სახელმწიფო გადატრიალებას. ამ დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დიდი პოლონეთის ბედი, მისი შემქნელ მარშალ პილსუდსკის ხელშია.

ი. სალაყაია.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A LARGILLIÈRE.